Рис. 1, табл. I. 15.V.1941 г. Изолированная голова нормальной лягушки № 47. А—отводится мозжечок. Частота быстрых колебаний электрического потенциала 300—400 в сек. Напряжение биотоков достигает 75  $\mu$ V. В—контрольный опыт при униполярном отведении кости черепа сбоку обнаженного мозга, при этом усиление такое же, как в опыте А. Наверху время по 0,02 сек.

<sup>1</sup> Сообщение первое см. в «Сообщениях Акад. Наук Груз. ССР», т. II, № 9, 1941.

Рис. 2, табл. I. 8.V.1941. Кураризованная лягушка № 40. Дорсальный край мозжечка. Частота быстрых колебаний около 300 в сек., а ритм медленных—около 30 в сек.

Электрическая активность была не одинакова во всех частях мозжечка. Ровно посередине мозжечка она сравнительно мала; она являлась выше всего на обеих сторонах на 0,5—1 мм от средней точки. Электрическая активность была меньше всего на наружных краях.

Спонтанная ритмика мозжечка не менялась от применяемых нами звуковых, световых, кожных и мышечных раздражений. То же самое было отмечено в отношении мозжечка кошки (Dow, [1]). Электрическая активность прочно удерживалась в течение опыта, ослабевая постепенно с истощением препарата и пропадала с отмиранием препарата позднее, чем в других отделах мозга.

Единственное изменение, какое мы заметили, это—появление в самом латеральном крае мозжечка небольшого усиления быстрых колебаний при раздражении кожи головы на соответствующей стороне. Такое же изменение электрической активности наблюдалось на верхней границе продолговатого мозга в области вхождения п. *trigeminus*. Оно не получалось ни здесь, ни в мозжечке при раздражении других кожных участков. Отсюда мы заключили, что это влияние осуществляется через п. *trigeminus*.

Итак, спонтанная электрическая активность мозжечка выражается в электрических волнах высокою ритма и высокой амплитуды; не меняется под влиянием звуковых, световых, кожных и мышечных раздражений и при отмирании препарата удерживается дольше, чем в других отделах.

Средний мозг. Спонтанная электрическая активность среднего мозга при отведении биотоков с *lobi optici* в большинстве случаев выражалась в быстрых колебаниях небольшой амплитуды. Частота может быть высокой—200—400 в сек. и выше, как в продолговатом мозгу. Продолжительность быстрых биотоков разная—от 0,005 до 0,0025 сек. Напряжение спонтанных биотоков среднего мозга обычно очень небольшое: 3—4 раза меньше, чем в продолговатом мозгу или мозжечке; оно редко достигает 50  $\mu$ V. Медленные колебания в этих случаях не проявлялись. Но когда электрическая активность среднего мозга почему-либо повышена, как это, например, бывает сейчас же после приложения электрода от механического раздражения, медленные колебания выступали обязательно. Так, на рис. 3 и 4 быстрые колебания по ритму около 200—300 в сек. протекают на фоне медленных. Они возникали также под влиянием раздражения сетчатки глаза, когда электрическая активность усиливалась значительно (рис. 5).

Рис. 3, табл. I. Тот же препарат, что на рис. 1. Отводится *lobus opticus dex.* вскоре после приложения отводящего электрода. Быстрые колебания небольшой амплитуды протекают по ритму 200 в сек. Они накладываются на медленные колебания с ритмом около 40 в сек.

Рис. 4, табл. I. 7.IV.1941. Кураризованная лягушка № 25. Средний мозг. В кабине светло. Отводится центральный участок в *lobus opt. dex.* Сейчас же после приложе-



ния электрода. Частота быстрых колебаний около 250 в сек., а медленных—около 20 в сек.

Рис. 5, табл. I. 24.IV.1941. Кураризованная лягушка № 32. Отводится *lobus opticus dex.* Экспериментатор медленно приближает свой палец к левому глазу. Движение пальца начинается сверху вниз с высоты в 40 см до расстояния в 5 см. Наверху момент движения пальца обозначается белой линией. Реакция начинается не сразу, а на некотором расстоянии от глаза и продолжается во все время дальнейшего приближения к глазу.

Раздражение сетчатки одной стороны влияло определенным образом на электрическую активность противоположной стороны среднего мозга. Раздражение производилось, во-первых, зажиганием и потуханием четырехвольтовой лампочки перед глазом, а во-вторых, движением предмета в поле зрения глаз и притом без того, чтобы тень от движущегося предмета падала на глаза. Освещение и затемнение глаза вызывали значительное усиление электрической активности до 100  $\mu V$ . Но обычно в обоих случаях этот эффект ослабевал и почти сходил на-нет в течение менее одной секунды (рис. 8-A). Джаспер и Июнг [3] не наблюдали усиления электрической активности *lob. opt.* от раздражения сетчатки светом электрической лампы. Они, наоборот, получали ослабление ее. Усиление наступало только по выключении света. Очевидно, это было связано с плохим функциональным состоянием препарата мозга. Биотоки среднего мозга значительно усиливались также от движения предметов в поле зрения лягушки. Этот эффект удерживался более долгое время, чем при освещении или затемнении глаза. Так, на рис. 5 движение пальца перед глазом производит значительный электрический эффект дольше одной секунды. Правда, и он ослабевает, но еще в конце 1,2 сек. он был значительно сильнее, чем до раздражения. Каждый раз эффект прекращался сейчас же после остановки движения. Значит, активно действует приближение и удаление предмета (рис. 6).

Рис. 6, табл. I. Тот же препарат, что на рис. 4. Средний мозг *lobus opticus sin.* В кабине светло. Спонтанная электрическая активность среднего мозга выражена слабо. Противоположный глаз раздражается быстрым движением линейки сверху вниз. Этот момент обозначен белой линией сверху. Затем линейка быстро отводится обратно. Оба раза биотоки усиливаются.

Характерно, что влияние движущегося предмета на электрическую активность среднего мозга обнаруживалось при перпендикулярном движении сверху вниз к телу животного или при косом движении сзади к животному или сбоку по направлению к глазу. Эффект наступал при движении предмета на расстоянии от нескольких сантиметров до 1—1,5 м от глаза. Если же предмет двигался спереди по направлению к глазам, тогда электрическая активность среднего мозга не менялась.

Звуки и кожно-мышечные раздражения не влияли на электрическую активность среднего мозга. Но раздражение кожи на голове влияло на электрическую активность в задней части среднего мозга, недалеко от вхождения *n. trigeminus*.



Итак, электрическая активность среднего мозга сама по себе без внешних раздражений довольно слаба. Она выражается, главным образом, в быстрых биотоках малой амплитуды. Но она выступает значительно сильнее при раздражении сетчатки; при этом происходит усиление и учащение быстрых биотоков и, кроме того, возникают медленные биоток.

Промежуточный мозг. Спонтанная электрическая активность промежуточного мозга, как она проявляется при отведении дорсальной поверхности, была еще слабее, чем среднего. Она выражалась в быстрых колебаниях очень небольшой амплитуды, редко достигая 20  $\mu$ V. В редких случаях в первые секунды после приложения электродов наблюдались более сильные электрические колебания, как в случае среднего мозга. При этом частота достигала 100—150 в сек. Но она быстро затухала уже в течение одной минуты. Так, например, на рис. 7 уже через 15—20 сек. после применения электродов электрическая активность оказывалась сильно уменьшенной.

На электрическую активность промежуточного мозга не влияли звуки, шумы, сотрясение препарата, механическое раздражение кожи. Влило только раздражение сетчатки, но и то чрезвычайно слабо и притом не всегда. Очень часто, когда раздражение сетчатки производило сильное увеличение электрической активности среднего мозга, на промежуточный мозг оно не действовало вовсе.

Рис. 7, табл. I. 19.IV.1941. Кураризованная лягушка № 26. Промежуточный мозг с дорсальной поверхности. В опыте А электрическая активность сейчас же после приложения электрода, а в опыте В—спустя 15 сек. Быстрые колебания по ритму 200 в сек., медленные—25 в сек. Время—0,02 сек.

Влияние раздражения сетчатки выражалось в возникновении очень слабых медленных биотоков при освещении и затемнении глаза (рис. 8-В). При этом наступали также быстрые биоток, но еще более в слабой форме. Эти эффекты были тем слабее, чем дальше был отводимый участок от среднего мозга. Весьма возможно, что означенные электрические эффекты промежуточного мозга от раздражения сетчатки возникают первично не в промежуточном мозгу, а являются результатом физического распространения биотоков из среднего мозга (ср. опыты А и В на рис. 8).

Рис. 8, табл. II. 29.III.1941. Кураризованная лягушка № 16. В опыте А отводится средний мозг, левый колмик; пробуются зажигание и потушение четырехвольтовой электрической лампочки перед правым глазом. В опыте В—промежуточный мозг с левой стороны не дальше 1 мм от границы среднего мозга. То же влияние света на правый глаз. Вывод сигнальная линия раздражения, а наверху время по 0,05 сек.

Итак, электрическая активность промежуточного мозга значительно слабее среднего мозга. При этом на нее не действуют звуки, сотрясения, кожные раздражения. Раздражение сетчатки производит очень небольшое усиление электрической активности, но этот эффект может быть обусловлен чисто физическим распространением биотоков из среднего мозга.

Большой мозг. Спонтанная электрическая активность большого мозга при ее изучении с дорсальной поверхности в большинстве случаев

Таблица 1









Таблица II



была более значительна, чем в промежуточном мозгу. Отдельные потенциалы часто достигали  $40-50 \mu V$ . Но никогда не достигала она такой величины, как в мозжечке или продолговатом мозгу. Если только она была более или менее значительна, то выражалась в электрических колебаниях двоякого ритма. Быстрые волны по ритму до 200 в сек. и выше, медленные волны до 35 в сек. (рис. 9). Эти биотоки всегда были значительно сильнее в течение нескольких десятков секунд после приложения электрода. Затем они быстро ослабевали с сохранением только мелких колебаний высокой частоты (рис. 10). Длительность быстрых колебаний значительно больше аксонных биотоков возбуждения. Она в среднем около 0,005 сек.

Рис. 9. Тот же препарат, что и на рис. 1. Спонтанная электрическая активность большого мозга. Двойной ритм: быстрые колебания по ритму до 150 в сек. и медленные около 30 в сек. Время—0,02 сек.

На электрическую активность большого мозга не влияли звуки, шум, движение предметов в поле зрения лягушки, зажигание и потухание лампочки, сотрясения препарата, кожно-мышечные раздражения, запаховые раздражения. Влияло лишь механическое раздражение самого мозга, как и на другие отделы головного мозга. От этого биотоки мозга значительно сильнее в первое время после приложения электрода.

Рис. 10, табл. II. 15.V.1941. Нормальная лягушка № 46. Через несколько минут после вскрытия мозга. Большой мозг. А—сейчас же после приложения электрода. Двойной ритм: быстрые колебания по ритму до 200 в сек. и большие колебания по ритму 30 в сек. В—через 30 сек. после приложения электрода: медленные колебания почти исчезли.

*Итак, электрическая активность большого мозга по своему характеру подобна активности промежуточного мозга, но по интенсивности превосходит его. На нее не действуют все применяемые нами раздражения.*

**Обонятельные доли.** Электрическая активность обонятельных долей (*lobi olfactorii*) обычно была более значительна, чем большого мозга, но всегда уступала мозжечку и продолговатому мозгу. Она удерживалась сравнительно долго после приготовления препарата. Она выражалась в быстрых колебаниях довольно низкого ритма—около 100 в сек. и в медленных колебаниях по ритму 20—30 в сек. Продолжительность быстрых колебаний была еще больше, чем в большом мозгу—около 0,006—0,007 сек. (рис. 12). В некоторых случаях быстрые колебания протекали по более быстрому ритму—около 150 в сек. (рис. 11). Эти наблюдения расходятся с данными Либета и Жерарда [2], которые отмечают очень низкий ритм медленных колебаний (4—8,5 в 1 сек.). У этих авторов более быстрые колебания выступали настолько неотчетливо, что они не сочли нужным их исследовать.

Электрическая активность была не одинаково сильна во всех частях обонятельных долей. Она сильнее всего в центре каждой доли—достигает  $50-60 \mu V$ , заметно меньше в задней и передней трети ее и по бокам.



Запаховые раздражения, как бергамотное масло, ксилол, аммиак влияют на электрическую активность. Это влияние удалось хорошо проследить лишь на некоторых препаратах: в одних случаях оно заключалось в сильном удлинении медленных волн и сообразно в уменьшении их ритма, как это дано на рис. 12. В других случаях, когда не было медленных колебаний, действие запаховых раздражений проявилось в усилении и учащении быстрых биотоков и появлении медленных (рис. 13). Другие раздражения: звуковые, световые, кожные и мышечные не влияли.

Рис. 11, табл. II. 24.IV.1941. Кураризованная лягушка № 32. Lobus olfact. dex. с дорсальной поверхности. Ритм быстрых колебаний около 150 в сек. Напряжение 60  $\mu$ V.

Рис. 12, табл. II. 17.IV.1941. Кураризованная лягушка № 25. Lobus olfactorius dex. с дорсальной поверхности. А—без раздражения, медленные колебания по ровному ритму около 25 в сек. при амплитуде 20  $\mu$ V. В—после запахового раздражения ксилолом: открытый флакон с ксилолом подносится близко к носовым отверстиям. Через большой скрытый период в несколько десятков секунд колебания сильно замедляются до ритма 15 в сек., а напряжение нарастает до 60  $\mu$ V.

Рис. 13, табл. II. 21.XI.1941. Преп. 93. Lobus olfactorius dex. изолированной головы, А—без раздражения, В—во время пропускания через ноздри паров ксилола, через 10—15 сек. от начала пропускания.

Итак, спонтанная электрическая активность обонятельных долей выражается колебаниями двоякого характера: быстрыми колебаниями около 100—150 в сек. и медленными колебаниями около 20—30 в сек. На эту электрическую активность действуют одни запаховые раздражения.

Из приведенных результатов видно, что все средние и передние отделы головного мозга лягушки показывают спонтанную электрическую активность. Сильнее всего она выступает в мозжечке. Здесь она достигает такой же амплитуды, как в продолговатом мозгу в области вхождения VIII пары нервов. Слабее всего она проявляется в промежуточном мозгу. Раздражение внешних рецепторов влияет преимущественно на некоторые отделы мозга, а именно раздражение сетчатки—на средний мозг, запаховые раздражения—на обонятельные доли, раздражение кожи на голове—на средний мозг в области вхождения тройничного нерва. Можно предположить, что влияние каждого рецептора сильнее всего на том отделе мозга или даже вернее на том участке мозга, где первично оканчиваются афферентные пути.

Академия Наук Грузинской ССР

Институт Физиологии имени акад. И. Бериташвили

Тбилиси

(Поступило в редакцию 6.1.1942)



ბ. ბერიტაშვილი და ლ. ტკიპურიძე

ბაყაყის ცენტრალური ნერვული სისტემის სპონტანური ელექტრული აქტივობის შესახებ

II

თავის ტვინის საშუალო და წინა განყოფილებათა სპონტანური ელექტრული აქტივობის დახასიათება

რეზიუმე

შეისწავლებოდა ოსცილოგრაფიული მეთოდით ბაყაყის პატარა ტვინის, შუა ტვინის, შუამდებარე ტვინის, დიდი ტვინის და საყნოსავი წილების სპონტანური ელექტრული აქტივობა. ყველა ამ განყოფილებათა ელექტრული აქტივობა გამოიხატება ტვინის პოტენციალის როგორც სწრაფი, ისე ნელი რხევებით. ყველაზე უფრო მაღალი ელექტრული აქტივობა პატარა ტვინმა გამოიჩინა, ხოლო ყველაზე უფრო დაბალი — შუამდებარე ტვინმა.

რეცეპტორთა გაღიზიანება მოქმედობს ტვინის ელექტრულ აქტივობაზე. ხოლო თითოეული რეცეპტორის მოქმედება იწვევს ამ ელექტრული აქტივობის შესამჩნევ ცვლილებას უმთავრესად ტვინის იმ განყოფილებაში, უფრო სწორად იმ ნაწილში, სადაც უშუალოდ რეცეპტორიდან მიმავალი მგრძობიარე ნერვული გზა თავდება. მათი გავლენა არ ვრცელდება შესამჩნევად სხვა ნაწილებზე, სადაც მეორეული ან მესამეული ნერვული გზა თავდება.

პატარა ტვინის, დიდი ტვინის და შუა მდებარე ტვინის ელექტრულ აქტივობაზე პერიფერიული გაღიზიანება არ მოქმედობს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

PHYSIOLOGY

THE SPONTANEOUS ELECTRICAL ACTIVITY OF THE CENTRAL NERVOUS SYSTEM OF THE FROG

By J. BERITASHVILI (BERITOFF) and L. TZKIPURIDZE

II

The characteristic of spontaneous electrical activity of the middle and anterior parts of the brain

Summary

The spontaneous electrical activity of cerebellum, lobi optici, thalamus, cerebrum and lobi olfactorii in the frog was studied with a cathode ray oscillograph. The brain was separated from the spinal cord and thereupon exposed from the dorsal surface. Some experiments have been carried out on cu-



rarized preparations. The potentials were led off unipolarly from the dorsal surface of the brain through the amplifier of the usual condenser coupled type. The ground lead was connected with a silver plate on which the preparation was placed.

The spontaneous electrical activity of every part of the brain is exhibited in the slow electrical waves of various rhythms from 5 to 30 per sec. and in the rapid ones from 100 to 400 per sec. The most high rhythm was observed in cerebellum (fig. 1, 2), and the lowest—in lobi olfactorii (fig. 11, 12, 13). The other parts—lobi optici (fig. 3—6, 8-A), cerebrum (fig. 9, 10), thalamus (fig. 7, 8-B) showed intermediate rhythms. The highest amplitude of rapid waves was recorded from the cerebellum, where it attained 100  $\mu$ V. The amplitude of the potentials in the thalamus was the lowest.

In every part of the brain the electrical activity immediately after application of leading off electrode was always considerably higher (fig. 7-A, 10-A), than later on (fig. 7-B, 10-B), evidently as a result of mechanical stimulation. The electrical activity of cerebellum and lobi optici often increased and decreased periodically. This did not depend on external stimulations.

The stimulation of the receptors influenced the spontaneous electrical activity: it raised the rhythm and amplitude of rapid waves and also contributed to the better appearance of slow waves. But the stimulation of each receptor caused a marked change in the spontaneous bioelectrical potentials only in that part of the brain, where the corresponding primary afferent pathway ends. Thus the retinal stimulation (by illumination and cessation of illumination of the eye (fig. 8-A), by motion of objects in the visual field of the frog (fig. 5, 6) produced a raise of electrical activity in optic lobes. The stimulation of the olfactory organ by odoriferous substances had the same effect on lobi olfactorii (fig. 12-B, 13-B), and that of the head skin increased the electrical activity in the cerebellum and midbrain where m. trigeminus ends. These exteroceptive stimulations had no marked effect on the other parts of the brain where the secondary afferent pathways end. The electrical activity of cerebellum, cerebrum and thalamus from the dorsal surface was not noticeably changed in general by exteroceptive stimulations.

Akademy of Sciences of the Georgian SSR  
Beritashvili Physiological Institute  
Tbilissi

#### ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА—ციტირებული ლიტერატურა

1. R. S. Bow. J. Physiol, 94, 67, 1938.
2. B. Libet and R. W. Gerard. J. Neurophysiol., 2, 153, 1939.
3. R. W. Gerard and J. Z. Young. Proc. Roy. Soc. B, 122, 343, 1937.



ფილოლოგია

სიმ. ჟაჟხიშვილი

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი<sup>1</sup>

I

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ პეტრიწის ნაშრომები ფართოდ იყო გავრცელებული უკვე XII საუკუნეში და რომ მისი ნააზრევით სარგებლობდნენ შავთელი, თამარ მეფე, რუსთაველი.

უკვე დადგენილია, მაგალითად, რომ 53. ოდა შავთელისა

ატიკულისა	უთქვამს ებელთა
პატრიკულისა	მეძიებელთა
ზედვის უფალ ზარ	შენთვის პროკლე და
სიწლოთ სიხშოსა,	დიადოხოსა

ემყარება იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობას [1].

თამარ მეფის იამბიკონების გამოკვლევებმა პ. ინგოროყვამ დაამტკიცა, რომ ამ იამბიკონებში მრავლად მოიპოვება შეხვედრები იოანე ფილოსოფოსის ტექსტებთან და რომ თამარისათვის იოანეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა უახლოესად ნაცნობი და მახლობელი ყოფილა [2].

შოთას „ვეფხისტყაოსანი“ იმდენად არის გაელენთილი პეტრიწისებური აზრებით, რომ ზოგიერთი მკვლევარი-სპეციალისტი (ი. აბულაძე, ნ. მარი, ვ. ბერიძე) სვამს საკითხს შოთას ნეოპლატონიკოსობის შესახებაც [3]. როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ტაეპები, როგორც არის

„დამშლიან ჩემნი კავშირნი, შვერთვივარ სულთა სირასა“ (884)

ან და

„ღმერთსა შემედრე, ნუთუ კელა დამხნას სოფლისა შრომასა,  
 ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა (1304)

ვერ აიცილებენ პეტრიწთან ნათესაობას.

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა ნათელყოფს, რომ იოანე პეტრიწით უხვად უსარგებლია აგრეთვე თამარ მეფის ისტორიკოსს თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

ჩენი დროის მკვლევართაგან ამ ძეგლს სპეციალური ნარკვევი პირველად უძღვნა ივ. ჯავახიშვილმა. ამ ნარკვევში მან ნათელყო, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი დიდად განათლებული და ღრმად ნაკითხი კაცია, რომ ის იცნობს საეკლესიო მწერლებს ესაიას, დავითს, სოლომონს, ბასილ კესარიელს, ბერძენ მწერალთაგან იოსიპოს ფლავიოსს, პლუტარქეს, პლატონს და ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსს, ხოლო ქართველ მწერალთაგან ჩახ-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების IV სამეცნიერო სესიის სხდომაზე 1941 წლის 27 დეკემბერს.



რუხადეს და სხვა მეხოტბეებს. ივ. ჯავახიშვილმავე აღნიშნა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს ხელთა ჰქონია „იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა“, რომელიც დიმიტრი პირველის ცხოვრების აღწერილობას შეიცავდა და რომ თამარის ისტორიკოსს იოანე ფილოსოფოსის ამ თხზულებიდან უნდა ჰქონდეს ამოკრეფილი ცნობები გიორგი მესამის ქაბუკობის შესახებ და მის ძმა დავითზე [4].

კ. კეკელიძემ [5] დამატებით გამოიკვლია, რომ ამ ძეგლის ავტორი იცნობს და იყენებს გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფს, „იულიანეს რომანს“, ფსევდოკალისტენეს ალექსანდრიანს, შაჰნამეს, ვისრამიანს და სხვას.

## II

ჩვენი მასალებით მტკიცდება, რომ ავტორი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ იცნობს იოანე პეტრიწის შრომებს და უხვად სარგებლობს როგორც პეტრიწის ლექსიკით, ისე მისი აზრებით.

ამ თხზულების პირველ ნაწილში ნახმარია მრავალი ისეთი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც პირველად იოანე პეტრიწმა იხმარა ნემესიოსის წიგნისა („ბუნებისათჳს კაცისა“) და პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის („კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“) თარგმნებში და თავის ორიგინალურს „განმარტებაში“. ასეთია, მაგალითად, შემდეგი სიტყვები და გამოთქმები<sup>(1)</sup>:

### 1) მ ა მ ა დ ო ბ ა :

„აწ ვიწყო ძაღებრ და ღონე-მიწდომისა: ესე შეილისა ნათელ-შემოსილასა მამა, გიორგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვაიტანგისა ნეტარებითა, რომელი დავითისდა, მამადობათა შინა ღმრთისა ქნებად აღთქმისა, «აღდგინებად ტომთაგან მისთა» მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მიემთხუია» (მარ. 596; აზმ. 55, 28).

«გამარჯუებულბანი . . . მამადობისანი მამათა და ტომთა მისთანი» (მარ. 633; აზმ. 88, 15).

### შეად. პეტრიწი:

„ვინაჲ აწ ესე ჩემი ორფეოს ამათ ყოველთა სულითთა ბრძენთა ჭრისტესთა მათ მიმართ ოდესმე ვნებითთა ჩუენთჳს თავსდებათა, ოდესმე ღმრთეებითთა ზესთა მამადობათა, და ოდესმე ნამუნთა სულთ მაცხოვრებელთა, ვინაჲ თანა მოუქმს და ერთ დღე ჰყოფს გონებითთა ამათ გოდებათა, და კიდურთა მათთა მიუზებს ღმრთისა სიტყუასა ნათელთად“ (შრომები II, 208, 29—209, 2)<sup>1</sup>

### 2) დ ა მ ს ა ხ ი , მ ე ც ნ ი :

„ვინათგან მოსე, მზილველი ღმრთისა და წინასწარ-მეცნი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნასა ისრაელთადმი, მათდა მომლები ენა-მძიმობისა, მიეცა ძალი უძღლურსა, ყოფადთა დამსახი“ (მარ. 593; აზმ. 53, 4).

„მოაქუნდეს თჳს შორის სატნი და საზენი თჳსთა დამსახთა მშობელთანი“ (მარ. 660; აზმ. 97, 21)

### შეად. პეტრიწი:

„რამეთუ ამის განგებისა მიერ გონებისად და მყოფისად პირველისა.... გარდმოიძღუნევიან დამსახნი და შემპყონი მრავალსქიდიანობასა ნიეთისასა“ (შრომები II, 212, 7—10).

„ვინაჲ საცნოჲ ყოველი მეცნეთაჲ განწვალებადი არს“ (შრომები I, 77, 1)

(1) ციტატები მოგვყავს მარიამისული ვარიანტი [6] და იქვე აღნიშნავთ კ. კეკელიძის გამოცემის [7] გვერდებს.



### 3) მექმნი; საგრძნო:

«...ნათელსა მამისასა, რომელმან მოიგონა ზუთნი საგრძნონი: ხედვა, სმენა, შეხება, გემოსხილვა და განრჩევა და დამორჩილნა კლდესა მას, —ქრისტესა, —ასუოდელოდ-ქმნითა გონებისათა, არაარს მექმნი ნებისა თვისისა» (მარ. 594, აზმ. 53, 24)

«ამათ შეასახა სფერო მიწიერი ზუთთა მათ საგრძნოს ცნობათათანი...» (მარ. 626; აზმ. 75, 21)

შეად. პეტრიწი:

«ვინათგან ყოველსა მექმსა (=მოქმედი, ποιητης) აქუს ძალი შემოქმედებითი» (შრომები I, 52, 1).

«რანიცა ძალნი და მოქმედებანი სხენან შორის ამათ საგრძნოთა, ვითარ მდელთა შორის, ვითარ ქვათა შორის, და ვითარ ცხოველთა შორის...» (შრომები II, 162, 11—12).

«საგრძნო ასანი შეუხავებელ და შეურევენელ სხვსა ასოხსაგან» (ნემ. 61, 12).

«არამედ სამნი უკუტ საგრძნოთანი (რძუ აწიოქჟჳჳ), ვითარ იგი მხედველობა და სმენა და ყნოსა... მითუალღვენ გრძნობადთა საშუალ ჰაერისა» (ნემ. 80, 11—13).

### 4) დალექსვა («თქმა»)

«ამისთჳსცა ესევითარად დალექსავს მლექსავი ვინმე და იტყუს» (მარ. 596; აზმ. 55, 31).

შეად. პეტრიწი: დაჰლექსავს (შრომები II 79, 31; 132, 13; 197, 21);

«მოედ და თვთ ატიკურად დალექსო: ტიტონ ონტონ არისტონ იტონ ნოუმენონ კალისტონ?» (შრომები II, 34, 11—12).

### 5) სუმპერაზმანი:

«ესრეთ სასობით მოქადულმან განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განწონნა კინელნი მსგავსად ფროდისისა, მქონესა წყობათა მამტიკებლისასა» (მარ. 602; აზმ. 59, 19—21).

შეად. პეტრიწი:

«აწ ესე ცნობა პროლეიმა ჰრაცებ, ხოლო კატასკევი დაჯანმეად, რომელ არს თხზვა და მუშაკობა საჯმართა აღმოჩენისათა. და კულად მესამედ სუმპერაზმა, რომელ არს თანგასავალი» (შრომები II, 10, 25—28).

«ხოლო ამას პირველსა საზღვარსა ეწოდების პროტასი, კიდე, ხოლო საშუალსა კიდეთა შემკვერელა. ხოლო დასასრულისასა სუმპერაზმა, რომელ არს თანგასავალი ურთიერთას კიდურთა» (შრომები II, 11, 4—6).

აგრეთვე II 22: 6; 22, 8; 22, 9; 23, 26, 197, 13:

მარიამისეულს ვარიანტში ეს სიტყვა წარმოდგენილია ფორმით «სუმპერაზმანი»; ვახტანგის კომისიის ხელიდან გამოსულ «ქართლის ცხოვრებაში» [8] ის შეცვლილია ფორმით «სუპერაზმნი», და, ამრიგად, ის დაკავშირებულია სიტყვასთან «რაზმი» (კ. კეკელიძის გამოცემაში [7] არის «სუმპერაზმნი» და ლექსიკონში ახსნილია: «სუმპერაზმი—სუპერაზმი, დიდი რაზმი, დიდი ჯარი»). ნამდვილად კი ამ სიტყვას საერთო არაფერი აქვს რაზმთან, ის ლოგიკის ტერმინია და პეტრიწი მას ყოველგან ხმარობს ფორმით «სუმპერაზმა» (საქსაქაქა «დასასრული», ლოგიკაში — «დასკვნა»). პეტრიწის მიერ ნახმარი გამოთქმებიდან ცხადია, რომ ამ სიტყვით აღინიშნებოდა ის, რაც დასასრულშია, რაც კიდევია; ისტორიკოსმა ც იხმარა ის ამავე მნიშვნელობით და იქვე განმარტა კიდევაც («კინელი» ან «კინენი»): «განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განწონნა კინელნი». და რომ ისტორიკოსი იყენებს ამ ტერმინს პეტრიწის მიერ ნახმარი მნიშვნელობით («კიდები», ამ შემთხვევაში შეიძლება «ფლანგები»), ჩანს

მომდევნო მსჯელობიდან: «მსგავსად ფროდისისა მქონესა წყობათა მამტიცებელისასა», ე. ი. მსგავსად ფილოსოფოს აფროდისიელისა, რომელიც მტიციების პოსტულატებს განაწყობდა ხოლმეო. ცხადია, სიტყვით «ფროდისისა» იგულისხმება ფილოსოფოსი ალექსანდრე აფროდისელი, რომელსაც პეტრიწი არისტოტელის გვერდით იხსენიებს ხოლმე.

ასეთია ნათესაობა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისა იოანე პეტრიწთან ლექსიკური მასალის მხრით. ყველა ის სიტყვა თუ ტერმინი, რომელთა მაგალითები ზემოთ მოიყვანეთ, პირველად გვხვდება პეტრიწის ნაწერებში. მართალია, ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ისეთი ლექსიკონი, რომ შეგვეძლოს დავადასტუროთ, თუ რომელ ძეგლში გვხვდება პირველად ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა. ამდენად ჩვენი კატეგორიული თქმა, რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვები პირველად პეტრიწმა იხმარაო, შეიძლება ნაადრევი იყოს. მაგრამ ჩვენს განკარგულებაში იყო ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით „რუსთაველის მუზეუმში“ დამზადებული მდიდარი მასალა ქართული ენის ისტორიული ლექსიკონისა [9]. ჩვენ ამ მასალების მიხედვით გვაქვს შემოწმებული ზემოთ მოყვანილი ლექსიკური მასალა.

ამნაირად, ირკვევა, რომ ეს სიტყვები პირველად იხმარა იოანე პეტრიწმა და მისგან ვადაილო „ისტორიათა და აზმათა“ ავტორმა. ეს სიტყვები არა თუ წინააღმდეგ ძეგლებში არ არის ნახმარი, არამედ არც მერმინდელ ძეგლებში უხმარია ვინმეს. კიდევ მეტის თქმა შეიძლება: მერმინდელ მკითხველებს ეს სიტყვები და ტერმინები მისაღებად ვერ მიუჩნევიათ, და, მაგალითად, როდესაც ვახტანგის კომისია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე მუშაობდა, მას „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან ამოუგდია ყველა ის ადგილი, რომლებშიც ზემოხსენებული სიტყვები იყო ნახმარი. ვახტანგის კომისიისეულს „ქართლის ცხოვრებაში“ ეს სიტყვები და ტერმინები არ მოიპოვება (ერთის გარდა, „სუმპერაზმანი“, რომელიც კომისიას შეუცვლია „სუმპერაზმანი“-თ).

### III

ნათესაობა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორსა და პეტრიწს შორის მართოდენ ლექსიკური მასალის მხრით არ მოჩანს. ისტორიკოსი რამდენსამე ადგილას თავის მსჯელობას აგებს პეტრიწისაგან ნასესხები აზრების საფუძველზე. ასე, მაგალითად:

1. **უძალობისა და შურის შესახებ.** გავის ციხესთან წარმოებული ბრძოლის შესახებ მოთხრობაში ისტორიკოსს ჩართული აქვს მსჯელობა „უძალობისა და შურის შესახებ“, რომელიც მთლიანად ამოღებულია პეტრიწის „განმარტებიდან“.

1161 წელს სულტანი ელდიგუზი მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობითურთ მოადგა გავის ციხეს, აიღო მიდამოები, გაანადგურა ყველაფერი. ეს თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო გიორგი მესამისათვის, რომ იგი სრულიად არ იყო მომზადებული. მიუხედავად ამისა ის თავისი მცირეოდენი ჯარით გაემართა სულტანის წინააღმდეგ. მიუახლოვდა თუ არა გიორგი გავის მიდამოებს, სულტანი გაიქცა. გიორგიმ მოინდომა დადევნებოდა, მაგრამ დიდებუ-



ლებმა არ მიუშვეს—მტერი გაიქცა და რაღა საჭიროა დევნაო. მარიამისეულ ვარიანტში აქ ჩართულია შემდეგი მსჯელობა.

«რამეთუ კეთილისა და სრულისა ნაჭმრისა დარღუევა ორთა ვნებათა მიერ [იქმნების]: ანუ მოკლებისაგან ძალისა, ანუ შურისა. ხოლო ურჩეულეს ყოველთა ძალთა და ყოველთა ზესთა ძეს (! ვითარ მბადი ყოველთა ძალთა და მოქმედებათა, და არაინ ეკუთვნეს მის მიერ ურჩეულესად დაბადებულსა მოკლება[დ] ოდესმე ძალისა. რამეთუ მიზეზთა მიერ ზესთა ძალთასა (და) აღეგო იგი. კჳალად თუ შურისა მიერ დასდევ იგი დასარღუელად. ვითარ ეგოს ურჩეულესი ყოველთა თჳს ზემო მქონებასა და ბუნებით-კეთილობასა შორის? რამეთუ უცხო არს კეთილისაგან შური, ვითარ სხუანთა ცხად ჰყოფენ» მარ. 606; აზმ. 62).

ეს ადგილი გადმოგვცემს იოანე პეტრიწის შემდეგ მსჯელობას:

«იტყჳს, ვითარმედ: ყოველთა მაკეთებელი ღმერთი არცა უძალობისაგან დაიცილებს ყოველთა არსთა კეთილ ყოფად, და არცა შურისგან, არამედ ზესთა ძეს ამათ ვნებათა და ქცევათა; რამეთუ მოკლუდავთა წესისა არს ესე, რამეთუ ნაკლული ძალი რააზომვე სრულსა ვერ ძალ იქმს, ხოლო იგი ზესთა ძეს სრულუნებასა, და ყოველისა შემძლე შურთა მიერ არ დაიცილებს. ხოლო არ თემის ესე მისისა ზემექონებისათჳს» (I. შრომები II, 32, 14—20).

აზალი ქართულით ეს ნიშნავს: „ღმერთს, რომელიც არის ყოველთათვის სიკეთის (ბედის) მიწიქებელია ვერ შეაფერხებს სიკეთის შექმნის საქმეში ვერც უძალობა და ვერც შური, ვინაიდან ის ორივე ამ ვნებაზე—უძალობაზე და შურზე—უფრო აღმატებულია. ეს მხოლოდ ადამიანებში შეიძლება შეგვხვდეს, რადგან ნაკლულევანი ძალა სრულყოფილს ვერაფერს შეექმნის; ღმერთი კი სრულყოფილებზედაც უფრო აღმატებულია, და მას ვერ შეაფერხებს შური, ყოველისა შემძლე. ეს არ არის შესაძლებელი, რადგან ღმერთი სხვაზე უფრო აღმატებულია, ზემექონია“.

იგივე აზრი აქვს გამოთქმული იოანე პეტრიწის სხვა ადგილას:

[1] «მიზეზად და საშთად ვითარ შესაქმედ მბადისაგან ნაბადთადმო კეთილობასა დასდებს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ვითარ ფეშხუუ გარდაეკაო ზესთ სრული, რაათა სხუანთა ყენეს მოზიარე თჳსთა კეთილობათა: რამეთუ კეთილობა აა შურთათაგან თავეის უფალ და უძალობისგან და უყენებელ, რამეთუ ზესთ ძალთასა არს» (შრომები II, 68, 25—30);

«რამეთუ კეთილობა შურთაგან მიუხებელ არსო» (იქვე, 210, 24).

ყურადღებებს იპყრობს არა მარტო დამთხვევა ლექსიკური მასალისა (შური, უძალობისგან || მოკლებისგან ძალისა, ზესთა ძეს || ზესთა ძესა, ვნებათა, ზემექონება || ზემო მქონება), რამედ მსჯელობის იგივეობა: კეთილი საქმის ჩაშლა შეიძლება გამოწვეულ იქნეს ორი ფაქტორით—ან ძალის უქონლობით იმის მიერ, ვინც ეს კეთილი საქმე უნდა შეასრულოს, ან შურით ადამიანთა მხრით. კეთილი საქმის მოქმედი ღმერთია, რომელიც ყოველგვარ ძალაზე და მოქმედებაზე უზენაესია, ასე რომ მას ძალა არ შეიძლება მოაკლდეს (ჩვენი ისტორიკოსის აზრთა მსვლელობით—გიორგი იყო ძალის მხრით ღმერთის ბადალი, ასე რომ მას უძალობას ვერ დავწამებთ; იმან იმიტომ კი არ აიღო ხელი მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობის დევნაზე, რომ ძალა აკლდა, არამედ სხვა მიზეზით); ღმერთს სრულყოფილი ძალა აქვს. ნაკლული ძალა მოკვდავებს, ადამიანებს აქვთ, ამიტომ, ისინი ვერაფერს სრულყოფილს ვერ შექმნიან. ღმერთი ყოველგვარ სრულყოფილზე უფრო მაღლა არის, იგი ურჩეულესია, და რო-

(1 «ზესთა ზესა» (მარ.)

გორ შეიძლება მას ხელი შეუშალოს შურმა, რომელიც შორს არის სიკეთისაგან, უცხო არის კეთილისაგან (რომელიც, დაუშვებებთ ჩვენ, არასრულყოფილ მოკვდავთაგან მომდინარეობს) <sup>1</sup>.

რად დასკირდა ისტორიკოსს ასეთი მსჯელობა. ისტორიკოსის სიტყვებით: გიორგი მეფემ, ამ „მკვლავმან აქილიანმან და გულმან მალნიტოანმან“, რომ გაიგო სულტანი და ათაბაგი გაგის განადგურების შემდეგ და ქართველი მხედრობის მოახლოებისას გაიქცნენო, გადაწყვიტა დადევნებოდა მტერს; მაგრამ ზოგიერთმა დიდებულმა წინააღმდეგობა გაუწია—სულტანი გაიქცა მთელი თავისი ჯარით და რაღა საჭიროა ბრძოლის ვაგრძელებაო. გიორგიც დაემორჩილა დიდებულებს. ისტორიკოსს აქ ჩართული აქვს ზემომოყვანილი მსჯელობა „უძალობისა და შურის შესახებ“, ჩვენის აზრით, იმიტომ, რომ მას სურს თქვას: დიდებულებმა შურით გიორგის მიმართ შეაჩერეს გიორგი მტრის დადევნებისაგანო. მომდევნო თხრობა ისტორიკოსისა ამქვდავენებს იმას, რომ დიდებულთა მოსაზრება სწორი არ იყო და რომ საჭირო იყო მტრის დევნა.

საგულისხმოა, რომ მთელი ეს მსჯელობა ისტორიკოსისა „უძალობისა და შურის შესახებ“ ვახტანგის კომისიას ამოუგდია.

**2. მედინი და ხრწნადი სოფელი.** ისტორიკოსი მოგვითხრობს გიორგი III-ის გარდაცვალების შესახებ. ის თავისი ჩვეულებრივი რიტორობით—მე ვიტყვოდი პეტრიწისებური მალალ-ფარდოვანი და გასაგებად საკმაოდ ძნელი ფრაზებით—ადარებს გიორგის სიკვდილს ქრისტეს სიკვდილთან. მათეს სახარების (23, 35) სიტყვების დამოწმების შემდეგ, რომ აღამიანებზე მოიწია სისხლი მართალი „აბელ მართლისათ ვიდრე ზაქარიასა“, ისტორიკოსი ამბობს, რომ ცთომილ კაცთა სახსენლად ღმერთმა «კაცობრივითა სახითა იმოქმედა», ე. ი. მოავლნა ქრისტე, რომელმაც 33 წელს «იმეუფა ქუეყანასა ზედა მეფემან და მექმმან ცისა და ქუეყანისამან». ამის შემდეგ მან, ქრისტემ, წარმავალი ქვეყნის ცოდვათა მტვრითველმა (თავის-მსხმელმან ცოდვათა და ცთომათა მედინისა ამის და ხრწნადისა სოფლისათამან) მიიღო სიკუდილი. და თუ ღმერთმა თავისი ძის სხეული არ უკვდავყო, როგორღა წარმოვიდგინოთ «ოთხ-სტუქოთაგან დამქირვად სული სხეულსა შინაო», ე. ი. ოთხი ასოსაგან, ოთხი სტიქიონისაგან როგორღა არის მოსალოდნელი უკვდავების შენარჩუნებაო. ისინი იშლებიან, კვდებიან, და ამიტომ გიორგიც «თუმცა პირველ იგი მზე მზეთა და შარავანდი ჯელმწიფობისა, ახალი ნებროთ, ალექსანდრე და აქილევ, ქუეყანით ცად მიმართ აღწეულ იყო», ე. ი. მოკვდა (მარ. 619—620: აზმ.).

ლექსიკური მასალა აქაც პეტრიწისაა: მექმი, მედინი, ხრწნადი და სხვ. პეტრიწისებურია თვით მსჯელობა ამ სოფლის წარმავლობისა და ხრწნადობის შესახებ:

«ყოველი მედინთა და ხრწნადთა ბუნება დახუდა ქვედათა მიხეზთა აგებულებასა» (შრომები II 137, 3—4);

<sup>1</sup> თვით პეტრიწის დებულება შურის შესახებ ემყარება პლატონის „ტიმოქონსი“: ἡ τρυφή... ἀγαθὸν ἔστι, ἀγαθὸν δὲ ἰσχυρὸν παρ' ἰσχυρῶν ἰσχυρῶς ἐκτρέφεται. ფიზიკ. Plato 2 p. d: „შემოქმედი კეთილია, ხოლო კეთილი არაფრის შესახებ და არასოდეს არავითარ შურს არ შეიცავს“).





«ოთხნიც ესე ასონი ნაწილებით იქმნებიან და იხრწნებიან» (იქვე, 119, 3—4);

«ესე არს მეკუდოთა ესე მედინი ბუნება: რამეთუ ყოველი მეკუდოთა ბუნებაჲ და ნაწილნი ოთხთა ასოთანი და ქცევა ზენათა ოდესეგობასა შეუცავს, ხოლო საყოველთაონი ბუნებანი... სამარადისოდ ქმნასა და ქცევასა» (იქვე, II 120, 30—33; შეად. აგრეთვე 184, 29; 218, 28).

ადამიანთა ბუნება წარმავალია, იგი იხრწნება, რჩება მხოლოდ «საყოველთაო ბუნება»; კაცი კვდება, რჩება კაცება.

მთელი ეს პეტრიწისებური მსჯელობა, რომ ადამიანი, ოთხი ასოსგან, ოთხი კავშირისაგან შემდგარი, მოკვდავია, რომ მისი ბუნება მედინი და ხრწნადია, არ მოიპოვება ვახტანგის კომისიის ხელიდან გამოსულ რედაქციაში და მის მაგიერ გვაქვს ჩვენ მსჯელობა იმის შესახებ, რომ თუ კი ღმერთის ძემ ვერ აიცილნა სიკვდილი, რასაკვირველია, რომ „მიწით მოღებულნი მიწადვე მიიქცენ“ (გვ. 400 [8]).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი.

ჩვენ არ ვისახავთ საგნად შევეხოთ შედგენილობას ძეგლისას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რამდენადაც საკითხი ეხება იოანე პეტრიწის ტექსტის გამოყენებას ისტორიკოსის მიერ, ჩვენი ნარკვევის შედეგები ეთანხმება და ადასტურებს პ. ინგოროყვას დებულებას ამ ძეგლის შედგენილობისა და ორი ავტორის შესახებ. პ. ინგოროყვამ [10] პირველად წარმოადგინა ახალი შეხედულება, რომ ჩვენი საისტორიო ტექსტი, რომელიც მიჩნეულია ერთ ნაწარმოებად, სინამდვილეში წარმოადგენს ორს სხვადასხვა ნაწარმოებს: გიორგი III-ისა და თამარის მეფობის პირველ ისტორიას (სახელწოდება „ისტორიანი და აზმანი“ მხოლოდ ამ პირველ ძეგლს უნდა მიეკუთვნოს), და თამარის მეფობის მეორე ისტორიას; ეს ორი ნაწარმოები დაწერილია სხვადასხვა დროს (პირველი 1195 წელს, მეორე 1213 წლის შემდეგ), და მათი ავტორებიც, მკვლევარის დასკვნით, სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ წრეს წარმოგვიდგენენ (ავტორი პირველი ნაწარმოებისა, რომელიც საერო მსოფლმხედველობის შემცველია, არის საერო პირი, ხოლო ავტორი მეორე ნაწარმოებისა არის სასულიერო პირი).

იოანე პეტრიწის ნაწერები გამოყენებულია ამ ძეგლის პირველ ნაწილში, რომელიც, პ. ინგოროყვას დასკვნით, პირველი ავტორის ნაწარმოებს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ისტორიის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.1.1942)



С. Г. КАУХЧИШВИЛИ

## «ИСТОРИЯ И ВОСХВАЛЕНИЕ ВЕНЦЕНОСЦЕВ» И ИОАНН ПЕТРИЦИ

Резюме

Труд анонимного историка царицы Тамары, известный под заглавием «Истории и восхваления венценосцев», в своей первой части носит явные следы влияния трудов философа Иоанна Петрици как переводных, так и оригинальных. Это влияние видно:

1) в заимствовании из трудов Петрици отдельных слов и выражений, напр.: მამადობა, დამსახი, მეცნი, მექმნი, საგრძნო, დალექვა, სუმპერაზმა;

2) в заимствовании ряда суждений, напр.: «О бессилии и зависти», «О тленном мире» и др.

Все места в «Истории и восхвалении», заимствованные историком у Петрици, в последующие века были переписчиками и историками исключены из рукописей ввиду неприемлемости взглядов Иоанна Петрици.

Академия Наук Грузинской ССР

Институт Истории

Тбилиси

## გზირიბეშლი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. იოანე პეტრიჭის შრომები, ტ. I: პროლე დიადონოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილი. თბილისი, 1938 (განმეორებითი გამოცემა, თბ. 1940), გვ. XLI.
2. ბ. ინგოროყვა. თამარ მეფის იამბიკონნი: „მწაურობი“ 1940 წ. № 3.
3. В. Беридзе. К вопросу о мировоззрении Руставели: «Сборник Руставели». Тбилиси, 1938, стр. 147 слл.
4. ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1916, გვ. 181.
5. კ. კეკელიძე. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი—როგორც ლიტერატურული წყარო: „რუსთაველის კრებული“, თბილისი, 1938, გვ. 121—158.
6. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბილისი, 1906 (შემოკლებით=მარ.)
7. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა). აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი, 1941 (შემოკლებით=აზმ.)
8. ქართლის ცხოვრება, გამოცემა ზ. ქიქოძისადისა. თბილისი, 1897, გვ. 388.
9. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართული ენის ისტორიული ლექსიკონისათვის (დაუბეჭდავი; ამზადებს გამოსაცემად რუსთაველის მუზეუმი).
10. ბ. ინგოროყვა. ჩაბრუნებისძე: „კავკასიონი“ 1924, № 1—2, გვ. 277.

Ответственный редактор акад. Н. И. Мухелишвили

Подписано к печати 12.2.1942.

Объем 6 печ. форм.

Авторских форм 7,75.


Колич. тип. зн. в 1 печ. листе 52.000.

УЭ 6014.

Заказ № 33.

Тираж 600 экз.

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, улица А. Церетели, 7.





ტექნიკა—ТЕХНИКА—TECHNICS

Г. И. Атабеков. Учет прехлещующего стационарного режима при применении  
 операционного исчисления к анализу устанавливающихся процессов . . . . . 41

\*გ. ათაბეკოვი. წინა სტაციონალური რეჟიმის გათვალისწინება ოპერაციულ აღრიცხვის  
 გამოყენების დროს დამდგარებადი პროცესების ანალიზისათვის . . . . . 46

ბეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

აღ. ჯანელიძე. საქართველოს ბელტის პრობლემა. I . . . . . 49

\*А. И. Джanelidze. Проблема Грузинской глыбы. I . . . . . 58

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

Ида Манденова. О некоторых астрагатах Мескетии . . . . . 59

\*იდა მანდენოვა. ზოგიერთი ახალი ასტრაგალის შესახებ შესხეთიდან . . . . . 61

Л. И. Джапаридзе и Г. Н. Хунпаридзе. Содержание хлорофилла у некото-  
 рых кавказских древесных пород . . . . . 65

\*ლ. ჯაფარიძე და გ. ხუნჭირიძე. ქლოროფილის რაოდენობა ზოგიერთ კავკასიურ  
 მერქნიან ჯიშებში . . . . . 67

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

Д. Н. Кобахидзе. К выяснению местообитаний медицинской пиявки в природ-  
 ных условиях Грузии . . . . . 69

\*დ. კობახიძე. სამედიცინო წურბელას ადგილსამყოფელის გამორკვევისათვის საქარ-  
 ველოს ბუნებრივ პირობებში . . . . . 71

Н. В. Матикашвили и Н. И. Джапаридзе. Личинки и нимфы клещей  
 Rhipicephalus sanguineus Latr. и Rh. turanicus B. Pom. . . . . 73

\*ნ. მათიკაშვილი და ნ. ჯაფარიძე. Rh. turanicus-ის და Rh. sanguineus-ის ტვი-  
 პების მატლები და ნიშნები . . . . . 77

\*N. Matikashvili and N. Japaridze. Larvae and nymphs of ticks Rhipicephalus  
 sanguineus L. and Rh. turanicus B. Pom. . . . . 78

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

И. Бериташвили и Л. Цкипуридзе. О спонтанной электрической активно-  
 сти центральной нервной системы лягушки. Сообщение второе . . . . . 81

\*ი. ბერიტაშვილი და ლ. ცკიპურიძე. ბაყაყის ცენტრალური ნერვული სისტემის  
 სპონტანური ელექტრული აქტივობის შესახებ. II . . . . . 87

\*J. Beritashvili and L. Tzipuridze. The spontaneous electrical activity of the  
 central nervous system of the frog. II . . . . . 87

ფილოლოგია—ФИЛОЛОГИЯ—PHILOLOGY

სიმ. ყაუხჩიშვილი. „ისტორიანი დაზნანი შარავანდედანი“ და იოანე პეტრიწი. I 89

\*С. Г. Каухчишвили. «История и восхваление веницесовец» и Иоани Петрици. I 96



დაბეჭდილობა

საჭ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მიერ  
8.4.1941

დებულება „საქართველოს სსრ მცენიარებათა აკადემიის მოამბის“ შესახებ

1. „მოამბეში“ იბეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომელიც შეიცავს მათი გამოკვლევების მთავარ შედეგებს.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბე“ გამოდის ყოველთვიურად (თვის ბოლოს), გარდა ივლის-აგვისტოს თვისა— ცალკე ნაკვეთებად დაახლოებით 5 ბეჭდური თაბახის მოცულობით თვითუფლი. ერთი წლის ყველა ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. წერილები იბეჭდება ერთერთს შემდეგ ენაზე: ქართულად, რუსულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად. ყველა წერალებს, გარდა წერილებისა ქართულ ენაზე, აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე ქართულ ენაზე. ქართულ წერილებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე რუსულ ენაზე. წერილებს შეიძლება დაერთოს აგრეთვე რეზუმე რომელიმე ზემოთ-დასახელებულ ენაზე, ავტორის სურვილის მიხედვით.

5. წერილის მოცულობა, რეზუმეს და ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ სააეტროო თაბახს (20 ათასი ბეჭდური ნიშანი). ძირითადი ტექსტისა და რეზუმეს მოცულობის შეფარდებას განსაზღვრავს თვით ავტორი. კერძოდ, რეზუმე შეიძლება შეცვლილი იყოს მთლიანი თარგმანით, თუ კი წერილის და თარგმანის საერთო ზომა არ აღემატება ზემოთაღნიშნულ ნორმას.

6. „მოამბეში“ დასაბეჭდი წერილები უნდა გადაეცეს რედაქციას; იმ ავტორებისათვის, რომლებიც სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრები არიან, რედაქცია განსაზღვრავს მხოლოდ დაბეჭდვის მორიგებას. დანარჩენი ავტორების წერილები კი, როგორც წესი, გადაეცემა რედკოლეგიის მიერ სარეცენზიოდ აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან სათანადო დარგის რომელიმე სხვა სპეციალისტს, რის შემდეგ დაბეჭდვის საკითხს გადაწყვეტს რედკოლეგია.

7. წერილები თავისი რეზუმეებით და ილუსტრაციებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ საეხსნით გამზადებული დასაბეჭდად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი ხელით. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და დაბატების შეტანა არ დაიშვება.

8. ციტირებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრული: საჭიროა აღინიშნოს ავტორის სახელწოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ ციტირებულია წიგნი, საკლდეშულოა იწებება წიგნის სრული სახელწოდებისა, გამოცემის წლისა და ადგილისა.

9. ციტირებული ლიტერატურის დასახელება ერთვის წერილს ბოლოში სიის სახით. ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის მიხედვით, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.

10. წერილის ტექსტისა და რეზუმეს ბოლოს ავტორმა უნდა აღინიშნოს სათანადო ენებზე დასახელება და ადგილმდებარეობა დაწესებულებისა, რომელშიაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.

11. ავტორს ეძლევა ერთი კორექტურა გვერდებზე შეკრული მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილ ვადისათვის კორექტურის წარმოდგენილობის შემთხვევაში რედაქციას უფლება აქვს წერილი დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 50 ამონაბეჭდი და ერთი ცალი „მოამბის“ ნაკვეთისა, რომელშიაც მისი წერილია მოთავსებული.